ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4889026

ნომერი: AR1736612

თარიღი : 25.02.2020

გაცემის თარიღი : 09.03.2020

გაცნობის თარიღი : 10.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბენდელიანი პ/ნ 01001029584
- თბილისი გლდანი IIIა მ/რ კორ. 17 ბ. 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებაში
ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 25 თებერვალს №AR1736612 განცხადებით მომართა გიორგი ბენდელიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქი თბილისში , ქუჩა ნარიმანოვის , N 12-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქუჩა, N 15, N01.18.01.002.210 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი N1-2-3) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2020 წლის 3 თებერვალს N4843854 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 03 თებერვლიდან 2021 წლის 03 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის I ბლოკის +18.90 ნიშნულის გეგმაზე არასწორდა მოხდა მე-8 სართულის მითითება, ხოლო +22.05 ნიშნულის გეგმაზე მე-9 სართულის მითითება.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი I ბლოკის +18.90 და +22.05 ნიშნულების გეგმები შეადარა 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ამავე ნიშნულების გეგმებს და დაადგინა, რომ არასწორად იქნა მითითებული აღნიშნულ ნიშნულებზე სართულები, კერძოდ I ბლოკის +18.90 ნიშნულის გეგმაზე მე-8 სართულის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს მე-7 სართული, ხოლო +22.05 ნიშნულის გეგმაზე მე-9 სართულის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს მე-8 სართული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებაში, კერძოდ სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებით შეთანხმებული I ბლოკის +18.90 და +22.05 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.